შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება

# მმმ ჯგუფი

# ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

2018 წელი

## შინაარსი:

1. სრული შემოსავლების ანგარიშგება

2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

4. ფულადი ნაკადების ანგარიშგება

5. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

ქ. ბათუმი
2018 წელი

# შპს მმმ ჯგუფი
## სრული შემოსავლების ანაგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

| | | 31.12.2018 | 31.12.2017 |
|---|---|---|---|
| **ამონაგები** | 4 | **4,496,919** | **1,629,124** |
| **სხვა შემოსავლები** | | **11** | **2** |
| **ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში** | | **513,086** | **315,915** |
| მარაგის შეძენა | | **(4,532,277)** | (1,756,050) |
| დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი | | **(147,924)** | (55,138) |
| ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი | | **(23,887)** | (10,794) |
| შეძენილი მომსახურების ხარჯი | 5 | **(62,535)** | (46,619) |
| საგადასახადო ხარჯი | | **(4,711)** | (2,416) |
| სხვა ხარჯი | 6 | **(179)** | (471) |
| **მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან** | | **238,503** | **73,554** |
| საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა და ზარალი | | **(41,317)** | 23,588 |
| ფინანსური ხარჯი | | **(58,273)** | (26,734) |
| **მოგება-ზარალი დაბეგვრამდე** | | **138,912** | **70,408** |
| მოგების გადასახადი | | **-** | **-** |
| **საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი** | | **138,912** | **70,408** |

დირექტორი — მუხამედ ფარტენაძე

მთ. ბუღალტერი — გოჩა ჯაფარიძე

შპს მმმ ჯგუფი
ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

# შპს მმმ ჯგუფი
## სრული შემოსავლების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

| | | 31.12.2018 | 31.12.2017 |
|---|---|---|---|
| **ამონაგები** | 4 | **4,496,919** | **1,629,124** |
| **სხვა შემოსავლები** | | **11** | **2** |
| ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში | | **513,086** | **315,915** |
| მარაგის შეძენა | | **(4,532,277)** | (1,756,050) |
| დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი | | **(147,924)** | (55,138) |
| ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი | | **(23,887)** | (10,794) |
| შეძენილი მომსახურების ხარჯი | 5 | **(62,535)** | (46,619) |
| საგადასახადო ხარჯი | | **(4,711)** | (2,416) |
| სხვა ხარჯი | 6 | **(179)** | (471) |
| მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან | | **238,503** | **73,554** |
| საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა და ზარალი | | **(41,317)** | 23,588 |
| ფინანსური ხარჯი | | **(58,273)** | (26,734) |
| მოგება-ზარალი დაბეგვრამდე | | **138,912** | **70,408** |
| მოგების გადასახადი | | **-** | **-** |
| **საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი** | | **138,912** | **70,408** |

დირექტორი მუხამედ ფარტენაძე

მთ. ბუღალტერი გოჩა ჯაფარიძე

# შპს მმმ ჯგუფი
# ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
## 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| | | 31.12.2018 | | 31.12.2017 | |
|---|---|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | | | |
| ძირითადი საშუალებები | 7 | 838,255 | | 462,298 | |
| არამატერიალური აქტივები | 8 | 2,798 | | 3,145 | |
| **სულ გრძელვადიანი აქტივი** | | | 841,053 | | 465,443 |
| **მიმდინარე აქტივები** | | | | | |
| მარაგი | 9 | 899,445 | | 386,358 | |
| მოთხოვნები და სხვა წინასწარ გადახდები | 10 | 915,263 | | 759,960 | |
| მიმდინარე საგადასახადო აქტივები | | 7,557 | | 48,181 | |
| ფულადი სახსრები და ექვივალენტები | 11 | 10,552 | | 90,398 | |
| **სულ მიმდინარე აქტივები** | | | 1,832,816 | | 1,284,898 |
| **სულ აქტივები** | | | ***2,673,869*** | | ***1,750,340*** |
| **საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები** | | | | | |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | | | |
| საწესდებო კაპიტალი | | 194,420 | | 244,570 | |
| გაუნაწილებელი მოგება-ზარალი | | 372,083 | | 233,170 | |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | | | 566,503 | | 477,740 |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | | | | |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები | 12 | 1,195,120 | | 891,717 | |
| **სულ გრძელვადიანი ვალდებულებები** | | | 1,195,120 | | 891,717 |
| **მოკლევადიანი ვალდებულებები** | | | | | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 13 | 891,002 | | 349,211 | |
| მიმიდინარე საგადასახადო ვალდებულებები | | 21,245 | | 31,672 | |
| **სულ მოკლევადიანი ვალდებულებეები** | | | 912,247 | | 380,883 |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები | | | ***2,673,869*** | | ***1,750,340*** |
| | | | - | | - |

| | |
|---|---|
| **დირექტორი** | **მუხამედ ფარტენაძე** |
| **მთ. ბუღალტერი** | **გოჩა ჯაფარიძე** |

შპს მმმ ჯგუფი
ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

# შპს მმმ ჯგუფი
# ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
## 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| | | 31.12.2018 | | 31.12.2017 | |
|---|---|---|---|---|---|
| აქტივები | | | | | |
| გრძელვადიანი აქტივები | | | | | |
| ძირითადი საშუალებები | 7 | 838,255 | | 462,298 | |
| არამატერიალური აქტივები | 8 | 2,798 | | 3,145 | |
| სულ გრძელვადიანი აქტივი | | | 841,053 | | 465,443 |
| მიმდინარე აქტივები | | | | | |
| მარაგი | 9 | 899,445 | | 386,358 | |
| მოთხოვნები და სხვა წინასწარ გადახდები | 10 | 915,263 | | 759,960 | |
| მიმდინარე საგადასახადო აქტივები | | 7,557 | | 48,181 | |
| ფულადი სახსრები და ექვივალენტები | 11 | 10,552 | | 90,398 | |
| სულ მიმდინარე აქტივები | | | 1,832,816 | | 1,284,898 |
| სულ აქტივები | | | *2,673,869* | | *1,750,340* |
| საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები | | | | | |
| საკუთარი კაპიტალი | | | | | |
| საწესდებო კაპიტალი | | 194,420 | | 244,570 | |
| გაუნაწილებელი მოგება-ზარალი | | 372,083 | | 233,170 | |
| სულ საკუთარი კაპიტალი | | | 566,503 | | 477,740 |
| გრძელვადიანი ვალდებულებები | | | | | |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები | 12 | 1,195,120 | | 891,717 | |
| სულ გრძელვადიანი ვალდებულებები | | | 1,195,120 | | 891,717 |
| მოკლევადიანი ვალდებულებები | | | | | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 13 | 891,002 | | 349,211 | |
| მიმიდინარე საგადასახადო ვალდებულებები | | 21,245 | | 31,672 | |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები | | | 912,247 | | 380,883 |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები | | | *2,673,869* | | *1,750,340* |
| | | | - | | - |

დირექტორი მუხამედ ფარტენაძე

მთ. ბუღალტერი გოჩა ჯაფარიძე

# შპს მმმ ჯგუფი

## საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

### 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

| | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება-ზარალი | სულ კაპიტალი |
|---|---|---|---|
| 31.12.2016 ნაშთი | ***262,720*** | ***162,762*** | ***425,482*** |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-) | *(18,150)* | - | **(18,150)** |
| მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი | - | *70,408* | **70,408** |
| გაცემული დივიდენდი | | | **-** |
| 31.12.2017 ნაშთი | ***244,570*** | ***233,170*** | ***477,740*** |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-) | *(50,150)* | - | **(50,150)** |
| მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი | - | *138,912* | **138,912** |
| გაცემული დივიდენდი | - | | **-** |
| 31.12.2018 ნაშთი | ***194,420*** | ***372,083*** | ***566,503*** |

დირექტორი მუხამედ ფარტენაძე

მთ. ბუღალტერი გოჩა ჯაფარიძე

შპს მმმ ჯგუფი
ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

# შპს მმმ ჯგუფი

## საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

### 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

| | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება-ზარალი | სულ კაპიტალი |
|---|---|---|---|
| 31.12.2016 ნაშთი | ***262,720*** | ***162,762*** | **425,482** |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-) | *(18,150)* | - | **(18,150)** |
| მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი | - | *70,408* | **70,408** |
| გაცემული დივიდენდი | | | - |
| 31.12.2017 ნაშთი | ***244,570*** | **233,170** | **477,740** |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-) | *(50,150)* | - | **(50,150)** |
| მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი | - | *138,912* | **138,912** |
| გაცემული დივიდენდი | - | | - |
| 31.12.2018 ნაშთი | ***194,420*** | **372,083** | **566,503** |

დირექტორი მუხამედ ფარტენაძე

მთ. ბუღალტერი გოჩა ჯაფარიძე

# შპს მმმ ჯგუფი
## ფულადი ნაკადების ანგარიშგება
### 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

*ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით*

| | 31.12.2018 | | 31.12.2017 | |
|---|---|---|---|---|
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან | | | | |
| კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები | 4,779,164 | | 1,813,144 | |
| მომწოდებლებზე გადახდილი ფული | (4,353,199) | | (2,051,797) | |
| თანამშრომლებზე გადახდილი ფული | (134,867) | | (72,808) | |
| *საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები* | 291,098 | | (311,461) | |
| გადახდილი გადასახდები | (325,067) | | (94,838) | |
| ფულადი სახსრებისნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე | (33,968) | | (406,299) | |
| *წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან* | | (33,968) | | (406,299) |
| ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან | | | | |
| ძირითადი საშუალების შეძენა | (222,478) | | (64,369) | |
| მიღებული/გადახდილი დივიდენდი | (50,150) | | (18,150) | |
| *საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები* | | (272,628) | | (82,519) |
| ფულადი ნაკადები საფინანსო საქმოანობიდან | | | | |
| სესხის მიღება | 1,230,648 | | 947,100 | |
| სესხის დაფარვა | (954,024) | | (328,401) | |
| პროცენტის დაფარვა | (58,273) | | (26,734) | |
| სავალუტო გადაფასების შემოსავალი | 8,463 | | - | |
| სავალუტო გადაფასების ხარჯი | (64) | | (13,477) | |
| *საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები* | | 226,749 | | 578,488 |
| ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრადა/შემცირება | | (79,847) | | 89,669 |
| ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგეებო პერიოდის დასაწყისისათვის | 90,398 | | 729 | |
| ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგეებო პერიოდის ბოლოსათვის | 10,552 | | 90,398 | |

| | |
|---|---|
| დირექტორი | მუხამედ ფარტენაძე |
| მთ. ბუღალტერი | გოჩა ჯაფარიძე |

შპს მმმ ჯგუფი
ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

# შპს მმმ ჯგუფი
## ფულადი ნაკადების ანგარიშგება
### 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

*ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით*

| | 31.12.2018 | | 31.12.2017 | |
|---|---|---|---|---|
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან | | | | |
| კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები | 4,779,164 | | 1,813,144 | |
| მომწოდებლებზე გადახდილი ფული | (4,353,199) | | (2,051,797) | |
| თანამშრომლებზე გადახდილი ფული | (134,867) | | (72,808) | |
| *საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები* | 291,098 | | (311,461) | |
| გადახდილი გადასახდები | (325,067) | | (94,838) | |
| ფულადი სახსრებისნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე | (33,968) | | (406,299) | |
| *წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან* | | (33,968) | | (406,299) |
| ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან | | | | |
| ძირითადი საშუალების შეძენა | (222,478) | | (64,369) | |
| მიღებული/გადახდილი დივიდენდი | (50,150) | | (18,150) | |
| *საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები* | | (272,628) | | (82,519) |
| ფულადი ნაკადები საფინანსო საქმოანობიდან | | | | |
| სესხის მიღება | 1,230,648 | | 947,100 | |
| სესხის დაფარვა | (954,024) | | (328,401) | |
| პროცენტის დაფარვა | (58,273) | | (26,734) | |
| სავალუტო გადაფასების შემოსავალი | 8,463 | | - | |
| სავალუტო გადაფასების ხარჯი | (64) | | (13,477) | |
| *საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები* | | 226,749 | | 578,488 |
| ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრადა/შემცირება | | (79,847) | | 89,669 |
| ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგეებო პერიოდის დასაწყისისათვის | 90,398 | | 729 | |
| ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგეებო პერიოდის ბოლოსათვის | 10,552 | | 90,398 | |

დირექტორი მუხამედ ფარტენაძე

მთ. ბუღალტერი გოჩა ჯაფარიძე

**შპს მმმ ჯგუფი**
**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მმმ ჯგუფი შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში მარეგისტირებელი ორგანოს მიერ, რეგისტრაციის ნომერი 16128680, საწარმოს იურიდიული მისამართი არის, ხელვაჩაური, სოფ ზანაქიძეები, საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობ-ის ძირითადი ადგილი არის ხელვაჩაური, მეჯინისწყალი. საწარმო დაფუძნებულია ფიზიკური პირების მიერ.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო და სარემონტო მასალების რეალიზაცია.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად,საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2018 წლის პირველი იანვრით საწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

## 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთა-შორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგა-რიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის *მსს ფასს*-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოდგენილია წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის პირველი იანვარი.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ადრინდელი საფუძვლებიდან მსს ფასს-ზე გადასვლის გავლენა საწარმოს საანგარიშგებო ფინანსურ მდგომარეობაზე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე განმარტებულია შენიშვნაში.

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

### *3.1 ამონაგების აღიარება*

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

### *3.2 ფინანსური ინსტრუმენტები*

*სავაჭრო მოთხოვნები*

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით.

*სასესხო ვალდებულებები*

ბანკიდან (სხვა საწარმოდან) მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

დაკავშირებული მხარისაგან უპროცენტოდ ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის მიღებიდან წარმოქმნილი ვალდებულება აღიარდება მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

*სავაჭრო ვალდებულებები*

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან სარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

### *3.3 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები*

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ

პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

### *3.4 ძირითადი საშუალებები*

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა ნაგებობები -1,3 -5 %
- მანქანა დანადგარები -10-15%
- საოფისე აღჭურვილობა -20-50%
- ავეჯი და მოწყობილებები -15-35%
- სატრანსპორტო საშუალებები -10-20%
- სხვა ძირითადი საშუალებები -5-20%

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება გადაფასებული ღირებულებით, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით.

თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება, ნამეტი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, და გროვდება საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტის" სახით.

თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება, შემცირების თანხა აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუმცა, სხვა სრულ შემოსავალში აღიარდება გადაფასებიდან მიღებული შემცირების თანხა იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. ანალოგიურად , გადაფასების შემცირებად განიხილება გადაფასებულ აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გაუფასურების ზარალი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

### *3.5 არამატერიალური აქტივები*

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი .

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

### *3.6 მარაგი*

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით)იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

### *3.7 იჯარა*

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით,

### *3.8 აქტივების გაუფასურება*

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

### *3.9 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები*

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული

დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

*3.10 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში*

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს,უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდბა მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა,

*3.11 მოგების გადასახადი*

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

## 4. ამონაგები

(ლარი)

| | დასახელება | 2018 წელი | 2017 წელი |
|---|---|---|---|
| 1 | შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 4,496,919 | 1,629,124 |
| 2 | სხვა შემოსავალი | 11 | 2 |
| | **ჯამი:** | **4,496,929** | **1,629,126** |

## 5. შეძენილი მომსახურების ხარჯები

(ლარი)

| | დასახელება | 2018 წელი | 2017 წელი |
|---|---|---|---|
| 1 | სატრანსპორტო მომსახურება | 13,092 | 2,663 |
| 2 | საიჯარო მომსახურება | 36,000 | 36,000 |
| 3 | სხვა მომსახურების ხარჯი | 13,363 | 6,239 |
| 4 | მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი | 81 | 1,718 |
| | **ჯამი:** | **62,535** | **46,619** |

## 6. სხვა ხარჯები

(ლარი)

| | დასახელება | 2018 წელი | 2017 წელი |
|---|---|---|---|
| 1 | ჯარიმები და საურავები | 179 | 471 |
| | **ჯამი:** | **179** | **471** |

## 7. ძირითადი საშუალებები

(ლარი)

| | შეძენის ღირებულება | ნაშთი 31.12.2018 | შემოსვლა | გასვლა | ნაშთი 31.12.2017 |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მიწის ნაკვეთი | 242,394 | - | | 242,394 |
| 2 | დაუმთავრებელი მშენებლობა | - | 215,953 | 246,567 | 30,614 |
| 3 | შენობა | 173,038 | 93,858 | - | 79,180 |
| 4 | ნაგებობები | 129,795 | 112,097 | - | 17,697 |
| 5 | მანქანა დანადგარები | 20,943 | 12,943 | - | 8,000 |
| 6 | ოფისის აღჭურვილობა | 27,851 | 14,713 | - | 13,138 |
| 7 | ავეჯი და სხვა ინვენტარი | 65,965 | 33,248 | - | 32,718 |
| 8 | სატრანსპორტო საშუალებები | 210,557 | 162,724 | - | 47,833 |
| 9 | იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების რემონტი | 3,648 | 529 | - | 3,119 |
| | **ჯამი:** | **874,190.2** | **646,064** | **246,567** | **474,693** |

| | ცვეთა | ნაშთი 31.12.2018 | ცვეთის დარიცხვა | ცვეთის ჩამოწერა | ნაშთი 31.12.2017 |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მიწის ნაკვეთი | - | - | - | - |
| 2 | დაუმთავრებელი მშენებლობა | - | - | - | - |
| 3 | შენობა | 6,174 | 3,874 | - | 2,301 |
| 4 | ნაგებობები | 1,670 | 1,113 | - | 557 |
| 5 | მანქანა დანადგარები | 3,323 | 2,320 | - | 1,003 |
| 6 | ოფისის აღჭურვილობა | 3,736 | 2,998 | - | 738 |
| 7 | ავეჯი და სხვა ინვენტარი | 5,235 | 4,209 | - | 1,025 |
| 8 | სატრანსპორტო საშუალებები | 15,797 | 9,025 | - | 6,772 |
| 9 | იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების რემონტი | - | - | - | - |
| | **ჯამი:** | **35,935** | **23,540** | **-** | **12,396** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **საბალანსო ღირებულება** | **838,255** | | | **462,298** |

*ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.*

## 8. არამატერიალური აქტივები

(ლარი)

| | შეძენის ღირებულება | ნაშთი 31.12.2018 | შემოსვლა | გასვლა | ნაშთი 31.12.2017 |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სხვა არამატერიალური აქტივი | 3,468 | - | - | 3,468 |
| | **ჯამი:** | **3,468** | **-** | **-** | **3,468** |

| | ცვეთა | ნაშთი 31.12.2018 | ცვეთის დარიცხვა | ცვეთის ჩამოწერა | ნაშთი 31.12.2017 |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სხვა არამატერიალური აქტივი | 669 | 347 | | 323 |
| | **ჯამი:** | **669** | **347** | **-** | **323** |
| | საბალანსო ღირებულება | 2,798 | | | 3,145 |

## 10. მოთხოვნები და წინასწარი გადახდები

(ლარი)

| | დასახელება | ნაშთი 31.12.2018 | ნაშთი 31.12.2017 |
|---|---|---|---|
| 1 | სავაჭრო მოთხოვნები | 864,660 | 533,711 |
| 2 | გადახდილი ავანსები | 50,602 | 226,249 |
| | ჯამი: | **915,263** | **759,960** |

## 11. ფულადი სახსრები

(ლარი)

| | დასახელება | ნაშთი 31.12.2018 | ნაშთი 31.12.2017 |
|---|---|---|---|
| 1 | ფული საბანკო ანგარიშზე - ეროვნული ვალუტა | 9,572 | 9,531 |
| 2 | ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოური ვალუტა | 222 | 23,199 |
| 3 | ნაღდი ფული სალაროში - ეროვნული ვალუტა | 758 | 57,668 |
| | ჯამი: | **10,552** | **90,398** |

## 12. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

(ლარი)

| | დასახელება | ნაშთი 31.12.2018 | ნაშთი 31.12.2017 |
|---|---|---|---|
| 1 | გრძელვადიანი სესხები | 1,195,120 | 891,717 |
| | **ჯამი:** | **1,195,120** | **891,717** |

## 13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ლარი)

| | დასახელება | ნაშთი 31.12.2018 | ნაშთი 31.12.2017 |
|---|---|---|---|
| 1 | სავაჭრო ვალდებულებები | 891,002 | 349,211 |
| | **ჯამი:** | **891,002** | **349,211** |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი: მუხამედ ფარტენაძე

მთ. ბუღალტერი: გოჩა ჯაფარიძე

შპს მმმ ჯგუფი
ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

## 12. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

(ლარი)

| | დასახელება | ნაშთი 31.12.2018 | ნაშთი 31.12.2017 |
|---|---|---|---|
| 1 | გრძელვადიანი სესხები | 1,195,120 | 891,717 |
| | **ჯამი:** | **1,195,120** | **891,717** |

## 13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ლარი)

| | დასახელება | ნაშთი 31.12.2018 | ნაშთი 31.12.2017 |
|---|---|---|---|
| 1 | სავაჭრო ვალდებულებები | 891,002 | 349,211 |
| | **ჯამი:** | **891,002** | **349,211** |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი: მუხამედ ფარტენაძე

მთ. ბუღალტერი: გოჩა ჯაფარიძე